583
1962/3.
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 12 (335)

1968 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (335) დეკემბერი 1968 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის განყოფილების შექმნის შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოდ გადარქმევისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა განყოფილებების შექმნის შესახებ.

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს შექმნის შესახებ.

178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. რობიტაშვილის საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

№ 1/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

179. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მორიგი არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

180. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზუგდიდის და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიების მოწვევისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ.

181. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

### საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთხე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

182. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

183. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

184. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

185. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების წესის თაობაზე.

186. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

187. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე, 55-ე, 56-ე, 81-ე, 102-ე და 104-ე მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

188. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალსიტური რესპუბლიკისა „ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

189. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

190. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

191. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ.

192. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

193. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

194. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთი წევრის გათავისუფლებისა და არჩევის შესახებ.

195. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.

196. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

## განყოფილება მეორე

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ძამუკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. კობიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ა. მელიქოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

202. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 367-ე საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

203. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საინფორმაციო ცნობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შეტანის შესახებ.

1968 წლის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 171 ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის განყოფილების შექმნის შესახებ

ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის განყოფილება.

აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 3 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 172 ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

უფლებამოსილების ვადაზე ადრე ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლის გასვლის გამო, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1968 წლის 29 დეკემბერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 8 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 173 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 184-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მუხლი 184. მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა**

მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ან წინასწარ შეცნობით შეიძლებოდა მოჰყოლოდა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით".

2. კოდექსის 241-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 241. მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს**

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც მართავს ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებას, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ მანქანას, თუ ეს დარღვევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს და თუ ეს ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში ასეთივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შემდეგ, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე ან ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორ წლამდე.

მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც მართავს ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებას, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ მანქანას, თუ ამის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ან თუ ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე, ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

იგივე ქმედობა, თუ ამას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი ან მან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე, ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, თუ ამან გამოიწვია რამდენიმე პირის დაღუპვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ".

3. დაემატოს კოდექსს მუხლები $241^1$ და $241^2$ შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მუხლი 241[1]. სატრანსპორტო საშუალებების მართვა ნასვამ მდგომარეობაში**

ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალების, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთივე დარღვევისათვის ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ან ნასვამ მდგომარეობაში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება და რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სასჯელი ასეთივე დარღვევისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

**მუხლი 241[2]. ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციოდ გაშვება**

წინასწარი შეცნობით ტექნიკურად გაუმართავი ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებათა, ტრაქტორების ან სხვა თვითმავალი მანქანების საექსპლუატაციოდ გაშვება ან სხვა უხეში დარღვევა მათი ექსპლუატაციის წესებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრაობის უსაფრთხოებას, რაც ჩადენილია სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან მათი ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, თუ ამას მოჰყვა შედეგები, რომლებიც აღნიშნულია ამ კოდექსის 241-ე მუხლში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობაზე მუშაობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 174 ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ დასახლებულ პუნქტებში, სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა, ცეცხლსასროლი იარაღით სროლა, თუ ის ემუქრება მოქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქეთა უსაფრთხოებას ან არღვევს საზოგადოებრივ სიმშვიდეს, ასეთი იარაღის შეძენის და შენახვის წესების დარღვევა, ასევე სხვა პირთათვის იარაღის გადაცემა ან მისი რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის თავის არიდება, თუ ასეთი ქმედობისათვის გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის სასჯელი, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე, იარაღის ჩამორთმევით.

2. ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ცეცხლსასროლი კუთხვილი იარაღის, აგრეთვე სანადირო გლუვლულიანი თოფებისა და მათი საბრძოლო მასალის იმ პირთათვის მიყიდვა, რომელთაც არა აქვთ მათი შეძენის ნებართვა ან მონადირის ბილეთი, საუწყებო ცეცხლსასროლი კუთხვილი იარაღის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, აგრეთვე დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების სარგებლობაში მყოფი გლუვლულიანი სანადირო თოფების და მათი საბრძოლო მასალის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, თუ ასეთი ქმედობისათვის გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის სასჯელი, გამოიწვევს ამაში დამნაშავე დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების თანამდებობის პირთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე.

3. ნება მიეცეს მილიციის ორგანოებს ჩამოართვან სანადირო თოფები იმ პირთ, რომელნიც სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, ბოროტად სარგებლობენ სპირტიანი სასმელებით ან არიან ფსიქიურად დაავადებულნი.

4. მასალებს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ დარღვევათა გამო დაჯარიმებისა და იარაღის ჩამორთმევის შესახებ განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

იარაღის ჩამორთმევა ვადით — ადმინისტრაციულ კომისიაში საქმის განხილვამდე წარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის (მოადგილის) მოტივირებული დადგენილების მიხედვით.

5. საბრძოლო და მცირეყალიბიანი ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის კუთხვილი სანადირო თოფები, რომლებიც ჩამორთმეულია ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებით, ბარდება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო ორგანოებს, ხოლო გლუვლულიან სანადირო თოფებს შეაფასებენ და გაყიდიან სავაჭრო ორგანიზაციები. თოფის რეალიზაციით მიღებული ფული, გარდა საკომისიო გადასახადისა, ეძლევა პატრონს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ბრძანებულების გამოყენებასთან.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება „ცეცხლსასროლი ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 175 გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გასაძლიერებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. დაწესდეს, რომ მძღოლებს, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს — ავტომოტოტრანსპორტს, საქალაქო ელექტროტრანსპორტს, ტრაქტორებს ან სხვა თვითმავალ მანქანებს, ნასვამ მდგომარეობაში მათი მართვისათვის, მიუხედავად სიმთვრალის ხარისხისა, ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ერთიდან ორ წლამდე.

სამი წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლიდან მათი ნასვამ მდგომარეობაში მართვის განმეორებით შემთხვევაში მძღოლებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ორიდან სამ წლამდე.

2. იმ შემთხვევაში თუ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა (გარდა მოტოეტლებისა) მფლობელებს, რომლებსაც ეს საშუალებები ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, ჩამორთმეული აქვთ მათი მართვის უფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა განაგრძობენ ამ საშუალებებით სარგებლობას, აგრეთვე თუ სამი წლის გახმავლობაში განმეორებით ექხებათ შემთხვევა სატრახსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვისა, ამ ბრძანებულების პირველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ზომების გარდა, შეიძლება სასამართლოს დადგენილებით ჩამოერთვათ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებები მათ მფლობელებს და რეალიზებულ იქნენ დადგენილი წესით; მფლობელთ დაუბრუნდებათ რეალიზაციიდან მიღებული თანხა, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

ამ ზომას გამოიყენებენ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა იმ მფლობელთა მიმართაც, რომლებსაც არა აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლება, მაგრამ მილიციის ორგანოების წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
გებლობენ მათს საკუთრებაში მყოფი ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებით ან გამოსაყენებლად გადასცემენ მათ იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლება.

მასალების გაფორმებას მათი მფლობელებისათვის ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევის შესახებ და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს განსახილველად ამ მასალების გადაცემას აწარმოებენ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოები.

3. გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში ერთი წლის განმავლობაში მოძრაობის წესების ორი ან მეტი უხეში დარღვევისათვის, ან ამ წესების უხეში დარღვევისათვის თუ მან გამოიწვია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და ამ დარღვევაზე არ ვრცელდება წინამდებარე ბრძანებულების პირველი მუხლის მოქმედება, მძღოლებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ერთ წლამდე ან დააჯარიმებენ თანხით 30 მანეთამდე.

ხმოვან სიგნალთა მიცემის წესების ბოროტად ან არაერთხელ დარღვევის შემთხვევაში მძღოლებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით 6 თვემდე.

4. ის პირნი, რომელნიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს და არ არიან მათი მფლობელნი, თუ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ იყვნენ დაკავებული მართვის უფლების გარეშე ან უნომროდ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის, აგრეთვე იმის გამო, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა გადასცეს იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ ამის უფლება ან იმ პირთ, რომლებიც იმყოფებიან ნასვამ მდგომარეობაში, დაჯარიმდებიან თანხით 30 მანეთამდე.

5. სატრანსპორტო საშუალებათა პირადი ანგარების მიზნით გამოყენებისათვის მძღოლებს ჩამოერთმევათ მართვის უფლება ვადით ერთ წლამდე ან დაჯარიმდებიან თანხით 30 მანეთამდე.

6. ის პირნი, რომელთაც არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ნასვამ მდგომარეობაში მათი მართვისათვის, მიუხედავად სიმთვრალის ხარისხისა, დაჯარიმდებიან თანხით 50 მანეთამდე.

7. ქვეითად მოსიარულენი, მგზავრები,ველოსიპედისტები, მზიდავები და სხვა პირნი, რომელნიც გზებით სარგებლობენ, მოძრაობის წესების უხეში დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა ან შესაძლო იყო მოჰყოლოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაჯარიმდებიან თანხით 10 მანეთამდე.

8. გზების, ქუჩების ტრანსპორტსავალი ნაწილის, საგზაო ნიშნების, მოძრაობის რეგულირებისა და ორგანიზაციის საშუალებათა განზრახ დაზიანებისათვის, თუ ამას არ მოჰყოლია მძიმე შედეგები, დამნაშავე დაჯარიმდება თანხით 20 მანეთამდე.

9. თუ ის პირი, რომელსაც ადმინისტრაციული წესით ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ამჟღავნებს შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას და სამაგალითო ყოფაქცევისაა, ორგანოებს, რომლებმაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება, დადგენილი ვადის არა ნაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ შეუძლიათ საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით შეუმცირონ მართვის უფლების ჩამორთმევის ვადა დარჩენილი დროის ოდენობით.

10. ორგანოებს და თანამდებობის პირთ, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების, აგრეთვე გზებზე, ქალაქების და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევისათვის, შეუძლიათ (გარდა სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევებისა), დამრღვევის პიროვნების და მის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სასჯელის ნაცვლად დამრღვევს მისცენ გაფრთხილება ან მასალები დამრღვევის შესახებ გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისი მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

გარდა ამისა, აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემოწმებულ იქნეს თუ რამდენად ფლობს დამრღვევი გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესებს, ტრანსპორტის ტარების ჩვევებს,ანდა ამ წესების შესასწავლად გაგზავნონ იგი არასამუშაო საათებში სამეცადინოდ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან დამრღვევის მიმართ მიღებული ზომების შესახებ ათი დღის ვადაში აცნობონ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის შესაბამისი განყოფილების (ქვეგანყოფილების) უფროსს ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) უფროსს.

11. მასალებს სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესებისა და გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ განიხილავენ დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, ხოლო ამ ბრძანებულების პირველი, მე-2, მე-3, მე-4 მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში — სატრანსპორტო საშუალებათა მუდმივი აღრიცხვის ან მათი დროებითი ყოფნის ადგილის მიხედვით.

12. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გამოთვლა იწყება ასეთი გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მძღოლი თავს არიდებს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის ჩაბარებას — მისთვის ამ მოწმობის ფაქტიურად ჩამორთმევის მომენტიდან. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის ჩამორთმევა არ შეიძლება, თუ გავიდა ვადა, რომლითაც მძღოლს ჩამორთმეული ქონდა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

13. ამ ბრძანებულებით დაწესებულ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს არ იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით.

14. იმ შემთხვევაში თუ მიღებულ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობს საფუძველი სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესებისა და გზებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ამ პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემისა, სასჯელის დასადებად ვადის გამოთვლა ხდება შესაბამისი დადგენილების მიღების დღიდან. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება არ შეიძლება გადაცდომიდან ერთი თვის შემდეგ.

15. ამ ბრძანებულების პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ სასჯელებს ადებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილება (ქვეგანყოფილება), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (ქვეგანყოფილება), ხოლო სასჯელებს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-7 მუხლით — აგრეთვე სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. საჩივრებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომთა შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) დადგენილებებზე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ განიხილავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემდგომი ორგანოები, ხოლო ამ ბრძანებულების 1 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სახალხო სასამართლოები იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე საჩივრების განხილვისათვის. საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ მიღებული დადგენილების აღსრულებას.

საჩივრის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს დადგენილება. თუ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) მოქმედება კანონიერია, სასამართლო უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე. თუ სასამართლო საჩივარს საფუძვლიანად მიიჩნევს, მაშინ იგი აუქმებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) დადგენილებას სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ ან შეამცირებს ამ უფლების ჩამორთმევის ვადას.

სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე დამრღვევის პიროვნების და მის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით გააუქმოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ და მისცეს დამრღვევს გაფრთხილება ან მასალები მის შესახებ გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მისი მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს დადგენილება ზემოაღნიშნულ საკითხებზე, აგრეთვე ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევის შესახებ (მუხლი მე-2 ამ ბრძანებულებისა), საბოლოოა და მისი გასაჩივრება ან საკასაციო წესით გაპროტესტება არ შეიძლება.

დაჯარიმების შესახებ დადგენილებათა გასაჩივრება ხდება იმ წესით, რომელიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

17. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულება „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტომოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წელი, № 34, მუხლი 594-ე), გარდა მეოთხე მუხლის პირველი ნაწილისა, რომელიც ეხება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლში დამატებათა შეტანას.

18. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიტანოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 176 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოდ გადარქმევისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა განყოფილებების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეეცვალოს სახელწოდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს და ეწოდოს მას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა განყოფილებები (სამმართველოები), რომლებსაც დაექვემდებაროს აგრეთვე რაიონული, საქალაქო მილიცია.

3. ეს ბრძანებულება შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 177 საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო გზების რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 178 ამხ. გ. ვ. რობიტაშვილის საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გიორგი ვლადიმერის ძე რობიტაშვილი საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 179 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მორიგი არჩევნებისათვის მზადების შესახებ

1969 წლის 16 მარტს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ყურადღება მიაქციონ დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს, ქმედითი დახმარება გაუწიონ დეპუტატებს საანგარიშო კრებების ჩატარებაში, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე უზრუნველყონ აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშების ჩაბარება სესიებისა და მოსახლეობისათვის;

ბ) დებულების მოთხოვნის შესაბამისად, განახორციელონ ყველა ღონისძიება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მოსამზადებლად;

გ) იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით მიზანშეწონილად არის მიჩნეული საარჩევნო კომისიების შექმნა იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც მოსახლეობა 1000 კაცამდეა და მათი ფუნქციების შესრულება ევალება შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს, 1969 წლის 20 იანვრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იმ სასოფლო საბჭოების სია, სადაც მიზანშეუწონლად არის მიჩნეული საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა;

დ) იმის გამო, რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების პერიოდში ჩატარდება აგრეთვე სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები, უზრუნველყონ მსაჯულთა კანდიდატების სათანადოდ შერჩევა და მათი არჩევა დებულების შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბალათურია) კონტროლი დააწესოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 180 ზუგდიდისა და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიების მოწვევისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზუგდიდისა და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოე-

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის აღმასრულებელი კომიტეტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ სესიების მოწვევისა და ორგანიზებულად ჩატარების საქმეს.

რიგი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გაზეთის, რადიოს, აგრეთვე თვალსაჩინო ადგილებში განცხადებების გამოკვრით და სხვა საშუალებებით 20-25 დღით ადრე ატყობინებენ დეპუტატებსა და მოსახლეობას სესიის ჩატარების დროსა და დღის წესრიგს; საკითხების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები და მუდმივი კომისიები.

მუდმივი კომისიები რეგულარულად გამოდიან სესიებზე თანამოხსენებებით და პერიოდულად აბარებენ ანგარიშს. ყვარლის რაიონული საბჭოს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და ჯანმრთელობის დაცვის, ზუგდიდის რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივმა კომისიებმა 1968 წელს სესიებისათვის ორ-ორი საკითხი მოამზადეს.

სესიებზე ხშირად იხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს. მიმდინარე წელს თითქმის ყველა საბჭომ განიხილა საკითხი „ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“, „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და სხვა.

სესიებზე რეგულარულად იხილავენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, კეთილმოწყობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებს. განხილვის მონაწილეთა 90-95 პროცენტს დეპუტატები შეადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ზემოთ აღნიშნულ რაიონში სესიების ჩატარების ვადა არ ირღვევა.

სესიები მაღალ დონეზე ტარდება ზუგდიდის რაიონის ინგირის, ოდიშის, ორულუს, ყვარლის რაიონის შილდის, ჭიკაანისა და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოში.

ამასთან ერთად ზუგდიდისა და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სესიის მოწვევისა და ორგანიზებულად ჩატარების საქმეს.

რიგ შემთხვევაში საკითხის განხილვა ხდება წინასწარ სათანადოდ შესწავლის გარეშე, მათ მომზადებაში არ მონაწილეობენ მუდმივი კომისიები და აქტივი

ზუგდიდის რაიონის გრიგოლიშის, ორსანტიის და კორცხელის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები დეპუტატებს სესიის ჩატარების დროსა და დღის წესრიგს მხოლოდ 4-5 დღით ადრე ატყობინებენ, ხოლო ყვარლის რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გადაწყვეტილებებს სესიის მოწვევის შესახებ საერთოდ არ ღებულობენ. ზოგიერთი საბჭოს სესიაზე საკითხების განხილვაში ნაკლებად მონაწილეობენ დეპუტატები. მაგალითად, ყვარლის რაიონული საბჭოს სესიებზე წელს საკითხების განხილვის მონაწილეთა 29 პროცენტს არადეპუტატები შეადგენდნენ. თითქმის ასეთივე მდგო-

მუხ. 180
ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობაა ზუგდიდის რაიონულ და ორსანტიის და გრიგოლიშის სასოფლო საბჭოებში.

ზუგდიდის რაიონის კახათის სასოფლო საბჭოს მეშვიდე სესიაზე ბიუჯეტის განხილვაში მხოლოდ ერთმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ასეთივე მდგომარეობაა გრიგოლიშის სასოფლო საბჭოშიც.

ყვარლის რაიონის მთისძირის სასოფლო საბჭოს მეცხრე სესიაზე, რომელიც განიხილავდა საკითხს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, კამათში არ გამოსულა არც ერთი მონაწილე.

არის შემთხვევები, როდესაც საბჭოების გადაწყვეტილებანი მოკლებულია კონკრეტულობას, არ ტარდება ორგანიზაციული მუშაობა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ამის შედეგად მათი ნაწილი შეუსრულებელი რჩება.

ნაკლოვანებებია სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში. ამ საქმეში სუსტად არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. დაევალოს ზუგდიდის და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) წინასწარ აცნობონ დეპუტატებს და მოსახლეობას სესიის ჩატარების დრო და დღის წესრიგი, უზრუნველყონ სესიებზე საკითხების განხილვის მკვეთრად გაუმჯობესება;

ბ) სესიისათვის საკითხის მომზადებასა და განხილვაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აქტივი;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განსახილველი საკითხების შერჩევას. სესიების მსჯელობის საგნად გახადონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, უზრუნველყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინება და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად;

დ) საბჭოების სესიებზე მიიღონ გადაწყვეტილებანი რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, დროულად აცნობონ შემსრულებლებს და გაშალონ სათანადო ორგანიზაციული მუშაობა მათი განხორციელებისათვის. პერიოდულად მოახსენონ დეპუტატებს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ;

ე) მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატებსა და მუდმივ კომისიებს მტკიცე კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სესიის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ ქვემდგომ საბჭოებში სესიის მოწვევისა და ჩატარების პრაქტიკა და განახორციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, განაზოგადონ მუშაობის დადებითი გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 181 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) 1969 წლის იანვარ-თებერვალში ფართოდ გააცნონ დეპუტატებს, საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მოსახლეობას კანონი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“;

ბ) მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა მოაწყონ სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა გამგეების სემინარი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის შესასწავლად.

2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულმა, ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1969 წლის 20 იანვრამდე წარმოუდგინონ იმ მთიანი სასოფლო საბჭოების სია, სადაც კანონის შესაბამისად სესია შეიძლება მოწვეულ იქნეს წელიწადში სულ ცოტა ოთხჯერ.

3. რესპუბლიკურმა გაზეთებმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე შემოტანილი წინადადებანი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე და განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბაღათურია) ადგილებზე პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის შესწავლისა და განმარტების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

## კ ა ნ ო ნ ი
## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 182 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმა იმ შესწორებებით, რომლებიც შემოიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

| | (მატება პროცენტებში 1968 წელთან შედარებით) |
|---|---|
| საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქცია | 8,8 პროცენტით |
| მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა | 8,9 პროცენტით |
| სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში | 8 პროცენტით |
| საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 12,3 პროცენტით |
| მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი (მშენებლობის, საპროექტო ორგანიზაციების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საკოლმეურნეობათაშორისო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების გამოკლებით) | 7,6 პროცენტით |

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების და არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სამრეწველო საქმიანობიდან | 13 პროცენტით |

**მუხლი 3.** უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1969 წელს 1968 წელთან შედარებით გადიდდეს:

| | |
|---|---|
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა | 8,5 პროცენტით |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება | 21,5 პროცენტით |
| საექსპლუატაციოდ გადაცემა სახლების საცხოვრებელი ფართობისა, დაფინანსების ყველა წყაროდან (ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გამოკლებით) | 12,5 პროცენტით |
| რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში — ბავშვთა რიცხვი | 6 პროცენტით |
| მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში | 16,9 პროცენტით |
| მოსწავლეთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე | 2,6 პროცენტით |
| მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში | 8 პროცენტით |
| საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა | 2,8 პროცენტით |

**მუხლი 4.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ის წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი
## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 183 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებებით, სახელდობრ, სულ — შემოსავლის ნაწილში 1.163.610 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 1.163.610 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1970 წლის 1 იანვრისათვის 48.552 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, გადასახდელი საწარმოო ფონდებზე, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავლები სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.042.795 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 454.977 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 654.243 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 135.975 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შესანახავად 25.001 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1969 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.101.409 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 737.573 ათასი მანეთის ოდენობით, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 363.836 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1970 წლის 1 იანვრისათვის 29.503 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1969 წლისათვის შემდეგი თანხებით:

№ 12 ეროვნული ბიბლიოთეკა

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | საბრუნავი სახსრების გარდასავალი ნაშთი 1970 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკურ ბიუჯეტიდან | | |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 45.201,5 | 38.092,6 | — | 45.201,5 | 2.260 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 32.785,6 | 28.048,1 | — | 32.785,6 | 1.639 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 14.712,6 | 8.854,1 | 4 366,9 | 14.712,6 | 736 |
| 4. ქალაქი თბილისი | 112.653,5 | 88.744,7 | — | 112.653,5 | 3.380 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 12.993,0 | 7.992,2 | — | 12.993,0 | 650 |
| 6. ქალაქი ფოთი | 3.922,7 | 3.080,5 | — | 3.922,7 | 196 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 5.122,3 | 4.569,0 | — | 5.122,3 | 256 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 9.884,4 | 8.478,9 | — | 9.884,4 | 494 |
| 9. ქალაქი გორი | 4.232,7 | 3.058,5 | — | 4.232,7 | 212 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 3.778,6 | 3.437,4 | — | 3.773,6 | 189 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 3.645,9 | 3.189,1 | — | 3.645,9 | 182 |
| 12. აბაშის რაიონი | 2.226,5 | 1.421,1 | — | 2.226,5 | 111 |
| 13. ადიგენის რაიონი | 1.857,6 | 593,5 | 316,3 | 1.857,6 | 92 |
| 14. ამბროლაურის რაიონი | 2.608,9 | 1.003,8 | — | 2.608,9 | 131 |
| 15. ასპინძის რაიონი | 1.605,6 | 267,5 | 295,8 | 1.605,6 | 80 |
| 16. ახალქალაქის რაიონი | 4.723,8 | 1.896,8 | — | 4.723,8 | 236 |
| 17. ახალციხის რაიონი | 4.404,9 | 2.648,4 | — | 4.404,9 | 220 |
| 18. ახმეტის რაიონი | 3.276,2 | 1.488,2 | — | 3.276,2 | 164 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 2.825,3 | 559,9 | — | 2.825,3 | 141 |
| 20. ბოლნისის რაიონი | 3.625,4 | 1.593,4 | — | 3.625,4 | 181 |
| 21. ბორჯომის რაიონი | 2.829,0 | 2.440,3 | — | 2.829,0 | 142 |
| 22. გარდაბნის რაიონი | 7.138,2 | 6.496,2 | — | 7.138,2 | 357 |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 4.412,0 | 1.420,9 | — | 4.412,0 | 221 |
| 24. გორის რაიონი | 4.719,5 | 4.340,1 | — | 4.719,5 | 236 |
| 25. გურჯაანის რაიონი | 4.718,7 | 4.197,4 | — | 4.718,7 | 236 |
| 26. დმანისის რაიონი | 2.811,7 | 628,2 | — | 2.811,7 | 141 |
| 27. დუშეთის რაიონი | 3.405,6 | 1.028,7 | — | 3.405,6 | 170 |
| 28. ვანის რაიონი | 2.998,0 | 1.622,1 | — | 2.998,0 | 150 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | შემოსა-ვალი | მათ შორის | | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების ბრუნვითი სალარო ნაშთი 1970 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 4.917,7 | 4.476,1 | — | 4.917,7 | 246 |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 5.312,9 | 1.810,1 | — | 5.312,9 | 266 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 3.160,9 | 936,5 | — | 3.160,9 | 158 |
| 32. თელავის რაიონი | 5.267,7 | 4.515,2 | — | 5.267,7 | 263 |
| 33. თერჯოლის რაიონი | 2.745,1 | 2.152,8 | — | 2.745,1 | 137 |
| 34. თიანეთის რაიონი | 2.159,2 | 501,6 | 299,0 | 2.159,2 | 108 |
| 35. კასპის რაიონი | 3.418,8 | 2.894,7 | — | 3.418,8 | 171 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი | 3.707,2 | 3.530,2 | — | 3.707,2 | 185 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 3.221,7 | 1.568,5 | — | 3.221,7 | 161 |
| 38. ლენტეხის რაიონი | 1.891,9 | 210,3 | 767,4 | 1.891,9 | 95 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი | 2.785,1 | 941,9 | — | 2.785,1 | 139 |
| 40. მარნეულის რაიონი | 5.611,7 | 4.008,0 | — | 5.611,7 | 281 |
| 41. მახარაძის რაიონი | 5.613,1 | 5.017,4 | — | 5.613,1 | 281 |
| 42. მესტიის რაიონი | 2.231,6 | 309,5 | 922,6 | 2.231,6 | 112 |
| 43. მცხეთის რაიონი | 3.022,6 | 2.691,4 | — | 3.022,6 | 151 |
| 44. ონის რაიონი | 2.167,8 | 1.302,9 | — | 2.167,8 | 108 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 2.903,6 | 1.695,6 | — | 2.903,6 | 145 |
| 46. საგარეჯოს რაიონი | 2.755,5 | 1.499,2 | — | 2.755,5 | 138 |
| 47. სამტრედიის რაიონი | 4.200,4 | 3.611,8 | — | 4.200,4 | 210 |
| 48. საჩხერის რაიონი | 3.188,7 | 1.221,1 | — | 3.188,7 | 159 |
| 49. სიღნაღის რაიონი | 3.618,1 | 2.743,8 | — | 3.618,1 | 181 |
| 50. ქარელის რაიონი | 3.114,8 | 2.845,1 | — | 3.114,8 | 156 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 1.247,1 | 204,7 | 360,2 | 1.247,1 | 62 |
| 52. ყვარლის რაიონი | 3.044,7 | 926,3 | — | 3.044,7 | 152 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 2.676,9 | 751,6 | — | 2.676,9 | 134 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 2.951,7 | 786,6 | — | 2.951,7 | 148 |
| 55. ცაგერის რაიონი | 2.286,2 | 569,5 | — | 2.286,2 | 114 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 4.185,1 | 3.745,3 | — | 4.185,1 | 209 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 3.184,4 | 1.798,4 | — | 3.184,4 | 159 |
| 58. წალკის რაიონი | 3.812,4 | 877,4 | — | 3.812,4 | 191 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 2.881,2 | 1.813,0 | — | 2.881,2 | 144 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 3.095,6 | 1.333,6 | — | 3.095,6 | 155 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 4.184,9 | 2.536,2 | — | 4.184,9 | 209 |
| 62. ხაშურის რაიონი | 3.703,2 | 3.251,3 | — | 3.703,2 | 185 |
| 63. ხობის რაიონი | 2.664,8 | 1.581,6 | — | 2.664,8 | 133 |
| ს უ ლ | 426.037,0 | 301.230,8 | 7.328,2 | 426.037,0 | 19.049 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1969 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი,

გ) მოსახლეობის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელებიდან — 10 პროცენტი;

დ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების, ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის და უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;

ე) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 24 | 89 | 59.6 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 28 | 82 | 48.6 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 100 | 100 | 100,0 |
| 4. ქალაქი თბილისი | 22 | 97 | 22.0 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 19 | 52 | 9,6 |
| 6. ქალაქი ფოთი | 30 | 99 | 71,6 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 100 | 100 | 85 3 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 100 | 100 | 53,4 |
| 9. ქალაქი გორი | 100 | 100 | 19,2 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 100 | 100 | 47,4 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 73 | 100 | 41,6 |
| 12. აბაშის რაიონი | 100 | 100 | 85.2 |
| 13. ადიგენის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 14. ამბროლაურის რაიონი | 100 | 100 | 74,7 |
| 15. ასპინძის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 16. ახალქალაქის რაიონი | 100 | 100 | 61 5 |
| 17. ახალციხის რაიონი | 100 | 100 | 78.3 |
| 18. ახმეტის რაიონი | 100 | 100 | 79,4 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 100 | 100 | 75,5 |
| 20. ბოლნისის რაიონი | 100 | 100 | 80,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის სამეურნეო-მოსავლო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირე-ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 21. ბორჯომის რაიონი | 100 | 100 | 23,9 |
| 22. გარდაბნის რაიონი | 50 | 98 | 22,4 |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 100 | 100 | 82,5 |
| 24. გორის რაიონი | 100 | 100 | 53,0 |
| 25. გურჯაანის რაიონი | 100 | 100 | 76,3 |
| 26. დმანისის რაიონი | 100 | 100 | 98,5 |
| 27. დუშეთის რაიონი | 100 | 100 | 91,0 |
| 28. ვანის რაიონი | 100 | 100 | 81,6 |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 50 | 100 | 58,4 |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 100 | 100 | 96,6 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 100 | 100 | 78,7 |
| 32. თელავის რაიონი | 100 | 100 | 89,5 |
| 33. თერჯოლის რაიონი | 100 | 100 | 80,8 |
| 34. თიანეთის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 35. კასპის რაიონი | 100 | 100 | 18,7 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი | 100 | 100 | 42,9 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 100 | 100 | 95,3 |
| 38. ლენტეხის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი | 100 | 100 | 83,3 |
| 40. მარნეულის რაიონი | 100 | 100 | 69,4 |
| 41. მახარაძის რაიონი | 50 | 100 | 87,7 |
| 42. მესტიის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 43. მცხეთის რაიონი | 100 | 100 | 98,2 |
| 44. ონის რაიონი | 100 | 100 | 87,4 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 100 | 100 | 96,3 |
| 46. საგარეჯოს რაიონი | 100 | 100 | 79,3 |
| 47. სამტრედიის რაიონი | 50 | 100 | 25,0 |
| 48. საჩხერის რაიონი | 100 | 100 | 76,7 |
| 49. სიღნაღის რაიონი | 100 | 100 | 83,4 |
| 50. ქარელის რაიონი | 100 | 100 | 20,3 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 100 | 100 | 100,0 |
| 52. ყვარლის რაიონი | 100 | 100 | 69,4 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 100 | 100 | 90,2 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 100 | 100 | 87,7 |
| 55. ცაგერის რაიონი | 100 | 100 | 91,5 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 50 | 100 | 38,5 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 100 | 100 | 28,7 |
| 58. წალკის რაიონი | 100 | 100 | 88,1 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 100 | 100 | 95,3 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 100 | 100 | 90,0 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 100 | 100 | 71,5 |
| 62. ხაშურის რაიონი | 100 | 100 | 79,0 |
| 63. ხობის რაიონი | 100 | 100 | 87,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 9.** გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ქალაქი ჭიათურა | 7 | მაიაკოვსკის რაიონი | 23 |
| აბაშის რაიონი | 9 | მარნეულის რაიონი | 5 |
| ადიგენის რაიონი | 30 | მესტიის რაიონი | 30 |
| ამბროლაურის რაიონი | 19 | ონის რაიონი | 12 |
| ასპინძის რაიონი | 30 | ორჯონიკიძის რაიონი | 16 |
| ახალქალაქის რაიონი | 15 | საგარეჯოს რაიონი | 12 |
| ახალციხის რაიონი | 18 | საჩხერის რაიონი | 18 |
| ახმეტის რაიონი | 20 | სიღნაღის რაიონი | 2 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 23 | თელავის რაიონი | 3 |
| ბოლნისის რაიონი | 16 | ყაზბეგის რაიონი | 30 |
| გეგეჭკორის რაიონი | 23 | ყვარლის რაიონი | 20 |
| დმანისის რაიონი | 29 | ჩოხატაურის რაიონი | 19 |
| დუშეთის რაიონი | 22 | ჩხოროწყუს რაიონი | 26 |
| ვანის რაიონი | 13 | ცაგერის რაიონი | 29 |
| ზუგდიდის რაიონი | 20 | წალენჯიხის რაიონი | 17 |
| თეთრიწყაროს რაიონი | 17 | წალკის რაიონი | 24 |
| თერჯოლის რაიონი | 5 | წითელწყაროს რაიონი | 7 |
| თიანეთის რაიონი | 30 | წულუკიძის რაიონი | 15 |
| ლანჩხუთის რაიონი | 11 | წყალტუბოს რაიონი | 5 |
| ლენტეხის რაიონი | 30 | ხობის რაიონი | 12 |

**მუხლი 10.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნებში ჩამოყალიბებული წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჩაძე**

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 184 საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.163.376 ათასი მანეთისა და გასავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ნაწილში 1.119.535 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 43.841 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 185 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების წესის თაობაზე

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს**:

1. შემოღებულ იქნას სამოქმედოდ კანონი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ დღიდან მისი მიღებისა, ესე იგი 1968 წლის 25 დეკემბრიდან.

2. ვიდრე საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობა მოყვანილ იქნებოდეს შესაბამისობაში საქართველოს სსრ კანონთან „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“, დადგინდეს, რომ აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს საქმიანობას, გამოყენებულ იქნენ, თუ არ ეწინააღმდეგებიან ამ კანონს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს ის აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს საქმიანობას.

5. ეთხოვოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დაამუშაონ და შესაბამისი უმაღლესი საბჭოების განსახილველად შეიტანონ კანონპროექტი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**186** **„ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულება „ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების შექმნის შესახებ“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**187** **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე, 55-ე, 56-ე, 81-ე, 102-ე და 104-ე მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1968 წლის 2 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1968 წლის 14 ოქტომბრისა — „მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების საწარმოო-სავაჭრო უბნების შექმნის შესახებ“;

1968 წლის 29 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდ გადარქმევის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის 20 დეკემბრისა — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოდ გადარქმევისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა განყოფილებების შექმნის შესახებ“;

1968 წლის 20 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე, 55-ე, და 56-ე მუხლებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

კონსტიტუციის 50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი“;

55-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ და სიტყვის „ფინანსთა“ შემდეგ დაემატოს „შინაგან საქმეთა“; სიტყვების: „ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის“ ნაცვლად დაემატოს სიტყვები: „ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის“;

56-ე მუხლში სიტყვების: „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საავტომობილო გზების“;

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები 81-ე, 102-ე და 104-ე მუხლებში და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 81. სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ქმნის აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებსა და სამმართველოებს:

განყოფილებებს:

განათლებისას;
ვაჭრობისას;
კომუნალური მეურნეობისას;
კულტურისას;
მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეებისას;
საგზაოს;
საერთოს;
საორგანიზაციო-საინსტრუქტოროს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისას;
შრომითი რესურსების გამოყენებისას;
ჯანმრთელობის დაცვისას;
საგეგმო კომისიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოებს;
ადგილობრივი მრეწველობისას;
კინოფიკაციისას;
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისას;
სოფლის მეურნეობისას;
შინაგან საქმეთა;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან და, გარდა ამისა, ავტონომიური ოლქის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო ქმნის სხვა განყოფილებებსა და სამმართველოებს".

„მუხლი 102. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების შემდეგ განყოფილებებს:
განათლებისას;
კულტურისას;
საგეგმოს;
საერთოს;
საორგანიზაციოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისას;
შინაგან საქმეთა;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან, აგრეთვე საწარმოო-საგზაო უბანს და, გარდა ამისა, რაიონის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან სხვა განყოფილებებსა და სამმართველოებს".

„მუხლი 104. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების შემდეგ განყოფილებებს:
განათლებისას;
კულტურისას;
მშენებლობის და არქიტექტურის საქმეებისას;
საგეგმოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისას;
შინაგან საქმეთა (განყოფილებას, სამმართველოს);
ჯანმრთელობის დაცვისას;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან, აგრეთვე საწარმოო-საგზაო უბანს და, გარდა ამისა, ქალაქის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების და ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქმნიან სხვა განყოფილებებსა და სამმართველოებს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 188 „ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება „ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 189 „გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება „გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**190** **„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**191** **საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ**

(იხ. დანართი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 192* საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ნუსხა საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 193 საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1968 წლის 24 ოქტომბრისა — ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვარაზაშვილის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1968 წლის 24 ოქტომბრისა — ამხ. შოთა ანდრიას ძე დოლიძის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1968 წლის 23 დეკემბრისა — ამხ. გიორგი ვლადიმერის ძე რობიტაშვილის საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

* დებულება იხ. დანართში.

№ 12
ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 194 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთი წევრის გათავისუფლებისა და არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი ლევანის ძე ნადაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო;

არჩეულ იქნეს ამხ. ვაჟა ლევანის ძე კიკაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 195 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისია 19 კაცის შემადგენლობით;
2. ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნან შემდეგი დეპუტატები:

**კომისიის თავმჯდომარე**

შალვა ზაქარიას ძე **ბერიანიძე** — დეპუტატი ქ. გორის ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქისაგან.

**წევრები:**

გივი ევგენის ძე **აზაურაშვილი** — დეპუტატი გურჯაანის რაიონის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

არუსიაკ სარქისის ასული **აივაზიანი** — დეპუტატი ბოგდანოვკის რაიონის განძნის საარჩევნო ოლქისაგან.

რეიხან ასერ ყზი **ალეკბეროვა** — დეპუტატი მარნეულის რაიონის სადახლოს საარჩევნო ოლქისაგან.

ნაზი გიორგის ასული **გოგლიჩაძე** — დეპუტატი წყალტუბოს რაიონის ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აბრამის ძე **დრაგუნსკი** — დეპუტატი ქ. თბილისის ლოჭინის საარჩევნო ოლქისაგან.

სერგი ვასილის ძე **დურმიშიძე** — დეპუტატი საჩხერის რაიონის საჩხერის საარჩევნო ოლქისაგან.

ბორის გრიგოლის ძე **თარბა** — დეპუტატი ქ. სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან.

ზნაურ ალექსანდრეს ძე **თედეევი** — დეპუტატი ქ. ცხინვალის კარლ მარქსის საარჩევნო ოლქისაგან.

შალვა ვასილის ძე **ყარყარაშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის ვაკის საარჩევნო ოლქისაგან.

ზურაბ პლატონის ძე **ლეჟავა** — დეპუტატი ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საარჩევნო ოლქისაგან.

როინ ვიქტორის ძე **მეტრეველი** — დეპუტატი გურჯაანის რაიონის ველისციხის საარჩევნო ოლქისაგან.

ზინაიდა ალექსანდრეს ასული **ოქრომჭედლიშვილი** — დეპუტატი საგარეჯოს რაიონის მანავის საარჩევნო ოლქისაგან.

მზიალა ტიტიკოს ასული **სვანაძე** — დეპუტატი ქ. ქუთაისის წულუკიძის საარჩევნო ოლქისაგან.

ლევან მიხეილის ძე **უკლება** — დეპუტატი ქ. ბათუმის ლენინის საარჩევნო ოლქისაგან.

ვიტალი დავითის ძე **ღოღობერიძე** — დეპუტატი გაგრის რაიონის განთიადის საარჩევნო ოლქისაგან.

ნოდარ ბაგრატის ძე **ჩხოლარია** — დეპუტატი გეგეჭკორის რაიონის ბანძის საარჩევნო ოლქისაგან.

გიორგი ვასილის ძე **სიხარულიძე** — დეპუტატი მახარაძის რაიონის მერიის საარჩევნო ოლქისაგან.

სერგი ესტატეს ძე **ჭილაია** — დეპუტატი გალის რაიონის ნაბაკევის საარჩევნო ოლქისაგან.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 196 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის შემადგენლობაში არჩევასთან დაკავშირებით გათავისუფლდნენ შემდეგი დეპუტატები მითითებული კომისიის წევრის მოვალეობისაგან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**აზაურაშვილი** გივი ევგენის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**ბერიანიძე** შალვა ზაქარიას ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**თარბა** ბორის გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**თედეევი** ზნაურ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**ლეჟავა** ზურაბ პლატონის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**მეტრეველი** როინ ვიქტორის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**სიხარულიძე** გიორგი ვასილის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**უკლება** ლევან მიხეილის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**ღოლობერიძე** ვიტალი დავითის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**ჩხოლარია** ნოდარ ბაგრატის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**ჭილაია** სერგო ესტატეს ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად გათავისუფლდნენ დეპუტატები ბერძენიშვილი პავლე ეპიფანეს ძე და მაისურაძე ვლადიმერ ივანეს ძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 197 მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწალებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწალებულთა გადარჩენისათვის“**:

1. ვალერიან ისაკის ძე **კაჭკაჭური** — თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატის საამქროს უფროსი.
2. თენგიზ ისაკის ძე **მამუკელაშვილი** — № 2 საგზაო სამშენებლო სამმართველოს მუშა.
3. მიხეილ ვლადიმერის ძე **მამუჩაშვილი** — დუშეთის რაიონის პროკურორი.
4. სერგო სერგოს ძე **მიხაილოვი** — ეფრეიტორი.
5. სოლომონ თევდორეს ძე **ფოცხვერაშვილი** — დუშეთის რაიონის სოფელ ანანურის კოლმეურნეობის წევრი
6. მიხეილ სიმონის ძე **ჩოხელი** — დუშეთის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 198 საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბუღალტრო აღრიცხვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის** საპატიო წოდება:

1. მამედ ახმედის ძე **აბდულაევს** — მარნეულის პურპროდუქტების ბაზის მთავარ ბუღალტერს.
2. გიორგი ევნატეს ძე **აბზიანიძეს** — სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის უფროს ბუღალტერს.
3. ასია ნიკიტას ასულ **ამბარცუმიანს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.
4. ანტონინა ივანეს ასულ **ანდრიანოვას** — ავტოსარემონტო ბაზის უფროს ბუღალტერს.
5. ჭიჭიკო კოსტას ძე **არახამიას** — პენსიონერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ტარიელ გიორგის ძე **არბოლიშვილს** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

7. მიხეილ მელიტონის ძე **არველაძეს** — ტრესტ „საქმინხილწყლების“ მთავარ ბუღალტერს.

8. ტატიანა ერასტის ასულ **არონიშიძეს** — „საქიუველირვაჭრობის“ № 4 მაღაზიის ბუღალტერს.

9. ელენე იაგორის ასულ **არუთინოვას** — თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

10. გრიგოლ ივანეს ძე **ახობაძეს** — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის სარევიზიო ჯგუფის უფროსს.

11. სილიბისტრო დიანოზის ძე **ახობაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველოს სამტრედიის სავაგონო დეპოს მთავარ ბუღალტერს.

12. მარგარიტა ისაკის ასულ **ბაბლიძეს** — ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

13. მერი ილიას ასულ **ბაბუაძეს** — ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

14. აბრამ დავითის ძე **ბაბურაშვილს** — „საქბაკალეიის“ მთავარ ბუღალტერს.

15. იონა რომანოზის ძე **ბასილაიას** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მთავარ ბუღალტერს.

16. ლავრენტი ილარიონის ძე **ბერბიჭაშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ქალაქ თბილისის სალიანდაგო დისტანციის მთავარ ბუღალტერს

17. ვასილ მიხეილის ძე **ბესტაევს** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

18. ელიზბარ მინას ძე **ბერიშვილს** — „საქგალანტერიის“ მთავარ ბუღალტერს.

19. არჩილ ივანეს ძე **ბიბილაშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროს რევიზორ-ბუღალტერს.

20. ანატოლი ნიკოლოზის ძე **ბორისენკოს** — აფხაზეთის ასსრ სახდაზღვევის სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

21. მიხეილ ტიმოთეს ძე **ბრაცუნს** — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

22. ვლადიმერ იაკობის ძე **ბრეგვაძეს** — ცაგერის რაიონის სოფელ ცაგერის კოლმეურნეობის ბუღალტერს.

23. იოსებ ვასილის ძე **ბურჭულაძეს** — „საქვაჭრობის“ მახარაძის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ვახტანგ ზაქარიას ძე **ბურჯანაძეს** — ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის № 1 ფაბრიკის მთავარ ბუღალტერს.

25. რიმა ივანეს ასულ **ბუსარგინას** — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

26. ზინა ნოეს ასულ **გაბუნიას** — ქუთაისის სასადილოების ტრესტის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

27. ანასტასია ილიას ასულ **გამცემლიძეს** — ქ. თბილისის მე-13 პოლიკლინიკის მთავარ ბუღალტერს.

28. ტატიანა ერასტის ასულ **გეგეჭკორს** — სსრკ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ქალაქ თბილისის სამმართველოს უფროს ბუღალტერს.

29. შალვა თევდორეს ძე **გელაშვილს** — ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

30. შურა ლევანის ასულ **გვაძაბიას** — საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროს ბუღალტერ-ინსპექტორს.

31. ლეონიდე იულონის ძე **გვენცაძეს** — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

32. დომნა იოსების ასულ **გვიჩიას** — საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

33. ნიკოლოზ ლევანის ძე **გიგაურს** — საქართველოს ლიტფონდის მთავარ ბუღალტერს.

34. ქეთევან თევდორეს ასულ **გიორგაძეს** — სსრკ სახბანკის ხაშურის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

35. მარიამ ივანეს ასულ **გლუნჩაძეს** — ქ. სოხუმის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

36. დაშა პორფილეს ასულ **გოგაძეს** — სსრკ სახბანკის ორჯონიკიძის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

37. ვარლამ ალექსანდრეს ძე **გოგვაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ ბუღალტერს.

38. ნიკოლოზ ანდრიას ძე **გოგიაშვილს** — გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

39. ზაქარია ივანეს ძე **გოგილოვს** — თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონის“ მთავარ ბუღალტერს.

40. ემნა გიორგის ასულ **გოთუას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „საქმედტექნიკის“ სამმართველოს № 2 სპეცმაღაზიის უფროს ბუღალტერს.

41. ნინო ზაქარიას ასულ **გოგოლაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

42. ილია ტარიელის ძე **გოშუას** — ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

43. მარგარიტა გალაქტიონის ასულ **გოცირიძეს** — ქ. თბილისის კალინინის რაიონის მთავარი ექიმის აპარატის ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

44. ალექსანდრა დიმიტრის ასულ **გრაჩევას** — სსრკ სახბანკის სამხრეთ ოსეთის საოლქო კანტორის მთავარ ბუღალტერს.

45. გენრიეტა აბრამის ასულ **გულიანს** — თბილისის საქალაქო ვაჭრობა „გასტრონომის" მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

46. ნიკოლოზ ფილიპეს ძე **გუნიანს** — „საქვაჭრობის" მთავარ ბუღალტერს.

47. კირილე რაჟდენის ძე **გუმბერიძეს** — ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

48. ევგენია არტემის ასულ **ვართანოვას** — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის მთავარ ბუღალტერს.

49. ევგენია გიორგის ასულ **ვარძელაშვილს** — სსრკ სახბანკის დუშეთის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

50. ლუბა ივლიანეს ასულ **ვასაძეს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის მთავარ ბუღალტერს.

51. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე **ვახანიას** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების განყოფილების უფროსს.

52. ევგენია ანასტასიას ასულ **ვოლკოვას** — სოხუმის № 3 უნივერმაღის უფროს ბუღალტერს.

53. ანდრო მიხეილის ძე **დევდარიანს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მთავარ ბუღალტერს.

54. ელენე გრიგოლის ასულ **დიამანტიდის** — სოხუმის მეორე სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მთავარ ბუღალტერს.

55. იოსებ გრიგოლის ძე **დონჯაშვილს** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს ცენტრალური ბუღალტერიის უფროსს.

56. სოფიო სერგოს ასულ **ეგოროვას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარ ბუღალტერს.

57. გაბრიელ ივანეს ძე **ელბაქიძეს** — ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობის ბუღალტერს.

58. სოფიო ივანეს ასულ **ელიავას** — გამომცემლობა „მერანის" მთავარ ბუღალტერს.

59. მარგარიტა არჩილის ასულ **ელუაშვილს** — ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

60. ლუბა ალექსის ასულ **ესენს** — მინერალურ ნედლეულთა კავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს.

მუზ. 198
ეროვნული
ბიბლიოთეკა

61. ზინაიდა ერმალოს ასულ **ერქომაიშვილს** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საფინანსო-სამეურნეო ჯგუფის უფროს ბუღალტერს.

62. დავით ფრანცის ძე **ექსანიშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის მთავარ ბუღალტერს.

63. ნელი ალექსანდრეს ასულ **ზავგოროდნაიას** — რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის უფროს ბუღალტერს.

64. ვლადიმერ ანტონის ძე **ზარანდიას** — ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

65. ალექსანდრა ქრისტეფორეს ასულ **ზახოდიაკინას** — „აფხაზკურორტვაჭრობის" ბაზის უფროს ბუღალტერს.

66. ელისაბედ მიხეილის ასულ **ზედგენიძეს** — პენსიონერს.

67. მარიამ ვლადიმერის ასულ **თედეევას** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მთავარ ბუღალტერს.

68. ნიკოლოზ ავეტიკის ძე **თათულოვს** — თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობის ბუღალტერს.

69. ეთერ ბესარიონის ასულ **თელიას** — ვანის რაიონის სოფელ ამაღლების კოლმეურნეობის ბუღალტერს.

70. ევგენი მიხეილის ძე **თინიკაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

71. იოსებ ლავრენტის ძე **თოხაძეს** — პენსიონერს.

72. მიხეილ ნიკიტას ძე **თუმანოვს** — რესპუბლიკის სავაჭრო ბაზის „საქტანსაცმელვაჭრობის" მთავარ ბუღალტერს.

73. ზურაბ ივანეს ძე **იაშვილს** — ორჯონიკიძის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის უფროს ბუღალტერს.

74. ევტიხი ვიქტორის ძე **იაშვილს** — საქსახსამთოტექზედამხედველობის კომიტეტის მთავარ ბუღალტერს.

75. ევგენი ვიქტორის ძე **ივანოვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მთავარ ბუღალტერს.

76. ნადია ივანეს ასულ **ილურიძეს** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

77. ალექსანდრე ვიქტორის ძე **იოსელიანს** — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

78. კარაპეტ ჰაიკის ძე **ისაკიანს** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიმრო ადგილების სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

79. აკაკი ნიკოლოზის ძე **კაკაჩიას** — ზუგდიდის რაიონის ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

80. დავით იაკობის ძე **კამკამიძეს** — მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მთავარ ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

81. ნიკოლოზ ბაგრატის ძე **კაჭარავას** — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყების მთავარ ბუღალტერს.

82. სიმონ არსენის ძე **კახიანს** — საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის მთავარ ბუღალტერს.

83. ვლადიმერ ნესტორის ძე **კახიძეს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

84. მიხეილ ალექსანდრეს ძე **კეკელიძეს** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

85. სერგო სარდიონის ძე **კერესელიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს.

86. ილია გიორგის ძე **კეჩხუაშვილს** — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უფროს ბუღალტერ-რევიზორს.

87. ვარლამ სილევანის ძე **კვაჭანტირაძეს** — თბილისის კერამიკული კომბინატის მთავარ ბუღალტერს.

88. მარიამ თევდორეს ასულ **კირვალიძეს** — კავშირგაბმულობის ლანჩხუთის რაიონული კვანძის მთავარ ბუღალტერს.

89. ანგელინა თევდორეს ასულ **კობახიძეს** — სსრკ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროს ბუღალტერს.

90. ანა გიორგის ასულ **კონონენკოს** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

91. ტრიფონ სოლომონის ძე **კორძაიას** — თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

92. ნინო ალექსანდრეს ასულ **კოშკაძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატის უფროს ბუღალტერს.

93. სერგო იაგორის ძე **კუზანოვს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს.

94. დიმიტრი არისტოს ძე **კუსისს** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

95. დომინიკა დიმიტრის ასულ **ლიმარევას** — ფოთის № 2 წისქვილკომბინატის მთავარ ბუღალტერს.

96. ანა მათეს ასულ **ლომაურს** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

97. ვახტანგ გიორგის ძე **ლომიტაშვილს** — ქარელის რაიონის ბებნისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

98. ვლადიმერ არსენის ძე **ლორეციანს** — თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მთავარ ბუღალტერს.

99. ივანე ივლიანეს ძე **ლორთქიფანიძეს** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

100. ივანე ექვთიმეს ძე **მაისურაძეს**—ონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

101. როზალია ილარიონის ასულ **მაისურაძეს** — სსრკ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ქალაქ თბილისის სამმართველოს მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

102. შალვა ივანეს ძე **მაისურაძეს** — ონის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ინსტრუქტორ-ბუღალტერს.

103. ალექსანდრე გრიგოლის ძე **მალაზონიას** — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსს.

104. პეტრე აბესალომის ძე **მანჯავიძეს** — ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

105. ლეონ ნიკოლოზის ძე **მატინოვს** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსს.

106. ანა გიორგის ასულ **მაღალაშვილს** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

107. ვალერიან გიორგის ძე **მაღლაკელიძეს** — ცეკავშირის ცენტრალური ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

108. მიხეილ ივანეს ძე **მახაშვილს** — გამომცემლობა „განათლების“ მთავარ ბუღალტერს.

109. მანია გრიგოლის ასულ **მებურნუთოვას** — ლენინგორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

110. დანიელ არჩევანის ძე **მეგრელიშვილს** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

111. ნინო ვლადიმერის ასულ **მეგრელიშვილს** — სსრკ სახბანკის ჩოხატაურის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

112. ნოე ივანეს ძე **მესხს** — ცეკავშირის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

113. სერიკო ვლადიმერის ასულ **მიქაშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ალაზნის სარწყავ სისტემათა სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

114. პეტრე რომანის ძე **მიშინს** — ამიერკავკასიის რკინიგზის საფინანსო სამსახურის სარევიზიო განყოფილების უფროსს.

115. რუსუდან პლატონის ასულ **მოდებაძეს** — სსრკ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თბილისის ქალაქის სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

116. გრიგოლ ერასტის ძე **მოისწრაფიშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მთავარ ბუღალტერს.

117. ივანე იოსების ძე **მოისწრაფიშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

118. ვალერიან ისიდორეს ძე **მჟავანაძეს** — ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

119. ლეონ სუზათის ძე **მუშელიანს** — პენსიონერს.

120. სერგო ვარლამის ძე **მღვდელაძეს** — თბილისის სასადილოების პირველი ტრესტის ბუღალტერს.

121. ალექსანდრა დიმიტრის ასულ **მშვიდობაძეს** — საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო განყოფილების უფროს ბუღალტერს.

122. ალექსანდრე ივანეს ძე **მჭედლიშვილს** — თელავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

123. ალექსანდრე პავლეს ძე **მჭედლიშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

124. ელენე ალექსანდრეს ასულ **ნამორაძეს** — თბილისის № 1 საავეჯო ფაბრიკის უფროს ბუღალტერს.

125. რუსუდან დავითის ასულ **ნახუცრიშვილს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროს ბუღალტერს.

126. უშანგი გიორგის ძე **ნიქაბაძეს** — თბილისის № 2 უნივერმაღის მთავარ ბუღალტერს.

127. ოლიფანტე ბუხუტის ძე **ნოდიას** — გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

128. ვალენტინა ევგენის ასულ **ოგანეზოვას** — ცხინვალის ქალაქის კინოთეატრების გაერთიანების მთავარ ბუღალტერს.

129. ანდრია ნიკოლოზის ძე **ორლოვს** — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

130. შალვა გაბრიელის ძე **ორჯონიკიძეს** — ტრესტ „საქკონდიტერის“ მთავარ ბუღალტერს.

131. ლევონ მათევოსის ძე **ოჯახიანს** — „საქფეხსაცმელვაჭრობის“ რესპუბლიკური ბაზის მთავარ ბუღალტერს.

132. ქსენოფონტე აბესალომის ძე **პატარიძეს** — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

133. რუზანა მიხეილის ასულ **პეტროვას** — სსრკ სახბანკის სამხრეთ ოსეთის საოლქო კანტორის უფროს ბუღალტერს.

134. ივანე ტარასის ძე **პაპასქირს** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

135. სედრაკ ოგანესის ძე **პაპოიანს** — ახალქალაქის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

136. ვარვარა ალექსის ასულ **პოპოვას** — რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

137. სოფიო იაკობის ასულ **პუდოვას** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

138. დავით ივანეს ძე **პურადაშვილს** — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

139. აკაკი ბიჭიას ძე **ჟვანიას** — კავშირგაბმულობის წალენჯიხის რაიონული კვანძის მთავარ ბუღალტერს.

140. მიხეილ ანდრიას ძე **ჟღენტს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს ბუღალტერ-ექსპერტს.

141. ვალერიან მელიტონის ძე **რამიშვილს**— თბილისის სასადილოების მეორე ტრესტის მთავარ ბუღალტერს.

142. დავით ივანეს ძე **რეხვიაშვილს** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს.

143. ანიკო ლუკას ასულ **რუსეიშვილს** — მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

144. ხარიტონ გიორგის ძე **სამხარაძეს** — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სოლოლაკის სასწავლო-საწარმოო წამოწყების მთავარ ბუღალტერს.

145. ნადია იაკობის ასულ **სართანიას** — ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

146. მარიამ მიხეილის ასულ **სესიაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

147. პრასკოვია ანდრიას ასულ **სიბილევას** — „საქქსოვილვაჭრობის“ მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

148. მარგარიტა ესეს ასულ **სიხარულიძეს** — ტარსაიძის სახელობის თბილისის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ბუღალტერს.

149. ლიდა ნიკოლოზის ასულ **სოროკინას** — სსრკ სახბანკის ბორჯომის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

150. ბოგდან გიორგის ძე **სტეფანოვს** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

151. სტეფანე არტემის ძე **სტეფანოვს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

152. ელენე სოლომონის ასულ **სუხიშვილს** — „თბილპურვაჭრობის“ მთავარ ბუღალტერს.

153. ვასილ ზაქარიას ძე **სუხიშვილს** — თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მთავარ ბუღალტერს.

154. ოლღა გიორგის ასულ **სხირტლაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო-კომბინატის დირექტორს.

№ 12
ეროვნული ბიბლიოთეკა

155. ემა ანდრიას ასულ **ტატულოვას** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სამეურნეო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

156. მიხეილ ბორისის ძე **ტეპლიცკის** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს.

157. შოთა ეპიფანეს ძე **ტორონჯაძეს** — სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

158. ილია კონსტანტინეს ძე **უთურგაურს** — „საქპურტრესტის" მთავარ ბუღალტერს.

159. კონსტანტინე დიმიტრის ძე **უსტაბასიდის** — „აფხაზკურორტვაჭრობის" გუდაუთის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

160. არსენ გიორგის ძე **ფანცულაიას** — ვანის რაიონის სათაო პარკსაშრობის უფროს ბუღალტერს.

161. ზინა ბათლომეს ასულ **ფირცხალავას** — ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

162. ნინო კირილეს ასულ **ფრანგიშვილს** — ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

163. ლიდა კონსტანტინეს ასულ **ფრუიძეს** — ცაგერის რაიონის სოფელ ალპანის კოლმეურნეობის ბუღალტერს.

164. გიორგი ალექსანდრეს ძე **ფურცელაძეს** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

165. შალვა საჩინოს ძე **ქავთარაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ ბუღალტერს.

166. ბესარიონ იაკობის ძე **ქარჩავას** — საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მთავარ ბუღალტერს.

167. ევგენია დიმიტრის ასულ **ქარცივაძეს** — მახარაძის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის მთავარ ბუღალტერს.

168. ნოდარ ალექსანდრეს ძე **ქებაძეს** — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს.

169. იაკობ სიმონის ძე **ქელეხსაევს** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

170. ლუბა ყაისარის ასულ **ქინქლაძეს** — სსრკ სახბანკის ფოთის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

171. ერმილე ივანეს ძე **ღლონიძეს** — ცენტროსოიუზის „კოოპამანათვაჭრობის" თბილისის ბაზის მთავარ ბუღალტერს.

172. ელენე გიორგის ასულ **შავგულიძეს** — შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

173. ანა გიორგის ასულ **შალუტაშვილს** — თბილისის ლენინის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის უფროს ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

174. გრიგოლ ბაგრატის ძე **მახნაზაროვს** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

175. დავით სილოვანის ძე **შენგელიას** — „საქკონსერვხილბოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტის „საქხილღვინის“ სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

176. ვარვარა ეპიფანეს ასულ **შენგელიას** — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის უფროს ეკონომისტს.

177. სოკრატ ფილიპეს ძე **შკუბულიანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურპროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის კომიტეტის მთავარ ბუღალტერს.

178. ნიკოლოზ ისიდორეს ძე **ჩერედას** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მთავარ ბუღალტერს.

179. ალექსანდრე არონის ძე **ჩერნოვს** — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

180. სიმონ ალექსანდრეს ძე **ჩერქეზიშვილს** — ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო ნარჩენების მეორადი გადამუშავების თბილისის № 1 ფაბრიკის მთავარ ბუღალტერს.

181. სპირიდონ სპირიდონის ძე **ჩიტაევს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

182. ეთერ ონისიმეს ასულ **ჩიტიძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

183. იონა ვასილის ძე **ჩიჩუას** — პენსიონერს.

184. ანისია კონსტანტინეს ასულ **ჩიქოვანს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აპარატის მთავარ ბუღალტერს.

185. სოზონი ერასტის ძე **ჩიქოვანს** — გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

186. ვარლამ გერასიმეს ძე **ჩხიკვიშვილს** — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის მთავარ ბუღალტერს.

187. დინა მირონის ასულ **ცირულნიკოვს** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს.

188. გიორგი ლუარსაბის ძე **ციციშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

189. ეკატერინე გაბრიელის ასულ **ცხოვრებოვას** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

190 ივანე ვლადიმერის ძე **ცხონდიას** — სსრკ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროს რევიზორს.

191. მარიამ გიორგის ასულ **ძამაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის მთავარ ბუღალტერს.

192. ნორა მინას ასულ **ძოწენიძეს** — სსრკ სახბანკის ტყიბულის განყოფილების უფროს ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

193. დარეჯან ნიკოლოზის ასულ **წერეთელს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს.

194. ელენე თეოფილეს ასულ **წულაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

195. კლიმენტი გრიგოლის ძე **წურწუმიას** — ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბუღალტერს.

196. ვასილ დანიელის ძე **წყავზარაძეს** — საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის მთავარ ბუღალტერს.

197. ოლღა ნიკიფორეს ასულ **ჭავჭანიძეს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სოფლის მეურნეობის ტრესტის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

198. ნიკოლოზ ილიას ძე **ჭანიშვილს** — ცეკავშირის უფროს რევიზორს.

199. ნინო ვარლამის ასულ **ჭანტურია-ჯაიანს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველობის მთავარ ბუღალტერს.

200. ალექსანდრე თევდორეს ძე **ჭანტურიას** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების საფინანსო განყოფილების უფროს რევიზორს.

201. დიმიტრი პეტრეს ძე **ჭანტურიას** — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

202. სავლე კონსტანტინეს ძე **ჭიპაშვილს** — ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

203. იასონ საბას ძე **ჭოხონელიძეს** — თბილისის პირველი სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მთავარ ბუღალტერს.

204. შალვა გიორგის ძე **ჭუმბურიძეს** — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მთავარ ბუღალტერს.

205. ბენიამინ ივანეს ძე **ჭყონიას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

206. სონია ივანეს ასულ **ხაჩატუროვას** — სსრკ სახბანკის ლენინგორის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

207. გიორგი დანიელის ძე **ხორკოვს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამედიცინო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

208. ლუსია ივანეს ასულ **ხუბიეროვას** — მცხეთის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის მთავარ ბუღალტერს.

209. იასონ კოწიას ძე **ჯაგუნავას** — წალენჯიხის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

210. ვარლამ მაქსიმეს ძე **ჯანაშიას** — ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

211. ელენე დავითის ასულ **ჯანგულაშვილს** — სიღნაღის რაიონის სახდაზღვევის ინსპექციის მთავარ ბუღალტერს.

212. არუსიაკ კარაპეტის ასულ **ჯანეზაშვილს** — ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

213. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯანიბეგაშვილს — გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

214. თინა ალექსანდრეს ასულ ჯაფარიძე-ხეთაგურს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის უფროს ბუღალტერს.

215. ინდიკო სარდიონის ძე ჯაფარიძეს — სსრკ სახბანკის ამბროლაურის განყოფილების მთავარ ბუღალტერს.

216. გიორგი სილიბისტროს ძე ჯიბლაძეს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მთავარ ბუღალტერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 27 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 199 ამხ. ს. ი. ძამუკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობასა და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რუისპირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. საქულ ივანეს ძე **ძამუკაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 4 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 200 ამხ. დ. ი. კობიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის მოადგილე პოლკოვნიკი დავით იასონის ძე **კობიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 9 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 201 ამხ. ე. ა. მელიქოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის ინსტრუქტორი ამხ. ემინ ალექსანდრეს ძე მელიქოვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 10 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 202 სოლქო სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის მებრძოლთა სამედიცინო მომსახურების საქმეში დიდი დამსახურებისათვის დაარსების ასსამოც წლისთავთან დაკავშირებით, სოლქო სამხედრო ჰოსპიტალი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 203 ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების 150 წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 23 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა **საგეგმო-საბიუჯეტო** კომისიის სხდომები. პირველ სხდომაზე განხილულ იქნა: 1) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის გეგმის პროექტის შესახებ;

2) საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. ჭირაქაძის ინფორმაცია საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მეორე სხდომაზე განხილულ იქნა ქვეკომისიების დასკვნები დამატებითი შემოსავლის გამოვლინებისა და ამ თანხების განაწილების შესახებ;

კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. გელაშვილმა სხდომას განსახილველად წარუდგინა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება.

განსახილველი საკითხების შესახებ აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა დ. აბუთიძემ, ვ. გოცირიძემ, ს. რიგვავამ, მ. დანელიამ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

გაიმართა **სოფლის მეურნეობის** მუდმივი კომისიის სხდომა. მოსმენილ იქნა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის მოხსენება „აბაშის, ბოგდანოვკის, გორის, დუშეთის, ვანის, ჩოხატაურის რაიონებში საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების, პირუტყვის გამოზამთრებისა და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების შესახებ“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა შ. ვერულაშვილმა, შ. გრძელიშვილმა, მ. ორაგველიძემ, შ. მახაძემ, ბ. გიგიბერიამ.

სხდომამ განიხილა კომისიის სამუშაო გეგმა 1969 წლის პირველი ნახევრისათვის.

**საკანონმდებლო განზრახულებათა** მუდმივი კომისიის სხდომამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. კარანაძის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ახალი დებულების პროექტის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ვ. გელაშვილმა, ბ. ჟღენტმა, ი. ყიფიანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ.

სხდომამ განიხილა აგრეთვე იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მ. ლომიძის მოხსენება საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის პროექტის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ა. კარანაძემ, ბ. ჟღენტმა, ი. ყიფიანმა, ვ. გელაშვილმა.

**საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის** მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის თ. მოსაშვილის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ წყალსადენების ქსელის კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობის შესახებ.

განხილულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გ. ბერიძემ, თბილწყალსადენის სამმართველოს უფროსმა ო. ყანჩაველმა, კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა შ. ნემსაძემ, ს. ოდილავაძემ.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის წევრის დეპუტატ გ. შენგელიას მოხსენება ქ. რუსთავის საბინაო მშენებლობის გეგმათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრმა დეპუტატმა ზ. ჯაფარიძემ, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. ჯაფარიძემ, კომისიის წევრმა დეპუტატმა ი. ქედიშვილმა.

**მრეწველობის** მუდმივმა კომისიამ განიხილა კომისიის წევრის დეპუტატ გ. სამხარაძის მოხსენება საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ა. ვარდოშვილმა, ა. ჯვარიძემ, ს. შარაძენიძემ, თბილელექტროიზოლიტის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა მ. მიხელიძემ.

კომისიამ დაამტკიცა თავისი სამუშაო გეგმა 1969 წლის პირველი ნახევრისათვის.

**ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების** მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მ. დანელიას მოხსენებები რესპუბლიკაში ტურისტულ ტრასებზე არსებულ საზოგადოებრივი კვების ობიექტთა მუშაობისა და სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე ახალი მოწყობილობის და დანადგარების გამოყენების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ფ. კავთიაშვილმა, ცეკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ქებაძემ, კომისიის წევრებმა დეპუტატებმა პ. ნოზაძემ, ო. საბაშვილმა, ა. გობრონიძემ და სხვებმა.

კომისიამ დაამტკიცა თავისი მუშაობის გეგმა 1969 წლის 1 ნახევრისათვის.

**ბუნების დაცვის** კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. კ. მამისაშვილის მოხსენება „ნაკრძალების მოვლა-დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

განსახილველ საკითხზე აზრი გამოთქვეს:

საქართველოს მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ ს. როსტიაშვილმა, კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ი. აბრამიშვილმა, კ. ჯამრულიძემ, დ. წიწიაძემ, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. მემარნიშვილმა და სხვ.

კომისიამ დაამტკიცა თავისი მუშაობის გეგმა 1969 წლის პირველი ნახევრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 752 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 50 |
| ქ. რუსთავიდან | | 10 |
| ქ. ჭიათურიდან | | 17 |
| ასპინძის | რაიონიდან | 4 |
| ახალქალაქის | „ | 43 |
| ბოგდანოვკის | „ | 25 |
| ბოლნისის | „ | 32 |
| დმანისის | „ | 57 |
| დუშეთის | „ | 16 |
| ზესტაფონის | „ | 5 |
| ზუგდიდის | „ | 17 |
| თელავის | „ | 11 |
| თერჯოლის | „ | 11 |
| თეთრიწყაროს | „ | 13 |
| კასპის | „ | 13 |
| მარნეულის | „ | 45 |
| მაიაკოვსკის | „ | 13 |
| მახარაძის | „ | 16 |
| მესტიის | „ | 26 |
| მცხეთის | „ | 6 |
| ორჯონიკიძის | „ | 10 |
| საგარეჯოს | „ | 61 |
| სამტრედიის | „ | 11 |
| საჩხერის | „ | 13 |
| სიღნაღის | „ | 5 |
| ქარელის | „ | 14 |
| ყაზბეგის | „ | 3 |
| ჩოხატაურის | „ | 4 |
| ჩხოროწყუს | „ | 25 |
| წალენჯიხის | „ | 10 |
| წალკის | „ | 58 |
| წულუკიძის | „ | 7 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 22 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფლები კუმურდო და კიროვაკანი და შექმნილია კუმურდოს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ კუმურდოში.